

მარიამ მამულაძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

**არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავება საგანმანათლებლო
დაწესებულებებში**

DOI: 10.52340/erp.2024.05.48

აბსტრაქტი

არასრულწლოვანთა პერსონალ მონაცემთა კანონიერი დამუშავების უფლება, დაცვას საჭიროებს, როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებების მხრიდან. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ბავშვთა პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში,

რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებები არის ორგანიზაციები, რომლებიც განსაკუთრებით დიდი ოდენობით პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებელია და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

საქართველოში 2024 წლის 01 მარტიდან ამოქმედდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია, რომელიც ცალსახად უსვამს ხაზს არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვისა და რეალიზების მნიშვნელობას, მით უფრო, როცა ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, ყოველდღიურად იზრდება დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევის საფრთხეები. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხშირია უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე, არასრულწლოვანთა მონაცემების უკანონო გამჟღავნების, არაპროპორციული დამუშავების, აუდიო-ვიდეო მონიტორინგის წესების დარღვევისა და არასათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღების ფაქტები.

წინამდებარე ნაშრომში გამოვლენილი იქნება არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კუთხით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პრობლემური საკითხები, როგორც პრაქტიკული, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. კვლევის შედეგების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე კი შემუშავებული იქნება რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ისეთი დარღვევების პრევენციას, როგორიცაა პატივისა და ღირსების შელახვა, დისკრიმინაცია, ბულინგი ან სხვა ნეგატიურ გავლენა, რომელიც აისახება ბავშვის ემოციურ მდგომარეობასა და განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანი, საგანმანათლებლო დაწესებულება, პერსონალური მონაცემები, მონაცემების დამუშავება, პრინციპები.

შესავალი

საქართველოში არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის ძირითად სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის ახალი რედაქცია მიღებული იქნა 2023 წელს. ახალი კანონი ძველი რედაქციისგან განსხვავებით სრულფასოვან სუბიექტად წარმოაჩენს არასრულწლოვნებს და განსაზღვრავს რიგ პროცედურულ საკითხებს, რომლებიც დაცული უნდა იქნას მონაცემების დამუშავების პროცესში. არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტად აქტუალური ხდება, ვინაიდან სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში განხორციელების დროს თავს იჩენს რიგი პრობლემური საკითხები, რომლებზეც ერთგვაროვანი მიდგომა და პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არსებობს.

არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების უკანანო დამუშავებისა და მათი საუკეთესო ინტერესების უგულებელყოფის ფაქტები განსაკუთრებით აქტიურად გვხვდება სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, შესაბამისად წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება აღნიშნულ ჭრილში.

საგანმანათლებლო დაწესებულებები თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების განხორციელების მიზნებისათვის, დიდი ოდენობით არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ. მონაცემთა დამუშავება იწყება რეგისტრაციის მომენტიდან და გრძელდება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. დამუშავებული მონაცემები მოიცავს პირად ინფორმაციას ბავშვის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის შესახებ, აგრეთვე ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართულობის, აქტივობისა და შეფასებების შესახებ. ურთიერთობის ხასიათიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ასევე შესაძლებელია დამუშავდეს სენსიტიური მონაცემებიც (<https://shorturl.at/OpM04>).

აღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად, კანონმდებელი განსაზღვრავს კონკრეტულ სახელმძღვანელო პრინციპებს

მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის, მოცემულ შემთხვევაში კი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებს. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეუღავად...“

კანონიერება. პერსონალურ მონაცემთა კანონიერი დამუშავება გულისხმობს, რომ მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი საფუძველი და დაცულია ყველა სამართლებრივი მოთხოვნა (Prashant, 15).,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს, რომელთაგან მინიმუმ ერთი საფუძვლის არსებობისას დასაშვებია მონაცემთა დამუშავება პასუხისმგებელი/უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა შეგროვება და დამუშავების სხვა ოპერაციების განხორციელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც არსებობს დამუშავების ლეგიტიმური საფუძველი, მაგალითად, თანხმობა (რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024, გვ.4).

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის განსაზღვრავს არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესსა და პირობებს, რომლის თანახმადაც, 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს შეუძლია, განაცხადოს თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვნის შემთხვევაში საჭიროა მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებებმა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების დაწყებამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა მიიღოს თანხმობა უფლებამოსილი პირებისაგან. კვლევის პროცესში საჯარო და კერძო დაწესებულებებზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ოფიციალურად იქნა გამოთხოვილი თანხმობა, თუმცა

ასევე გამოიკვეთა ორგანიზაციებიც, რომლებმაც აღნიშნული ქმედება განახორციელეს მოგვიანებით, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების დაწყების შემდგომ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერი წარმომადგენლის/ბავშვის მიერ გაცხადებული თანხმობა ავტომატურად არ წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების საფუძველს, ყოველ კონკრეტულ ვითარებაში, თანხმობის არსებობის შემთხვევაშიც კი უნდა შეფასდეს მონაცემთა დამუშავება რამდენად შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

სამართლიანობა. სამართლიანობა პრინციპი მოითხოვს, რომ პერსონალური მონაცემები არ დამუშავდეს მონაცემთა სუბიექტის საზიანოდ, დისკრიმინაციულად და არ აღმოჩნდეს მოულოდნელი ან შეცდომაში შემყვანი (EDPB, 2020, §69). შესაბამისად, დაუშვებელია დაწესებულებებმა მონაცემთა მოპოვება ან სხვაგვარი დამუშავება განახორციელონ უსამართლო, შეცდომაში შემყვანი საშუალებებით ან მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების გარეშე. სამართლიანობის პრინციპის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მონაცემთა სუბიექტის მოლოდინი, მონაცემთა გონივრული გამოყენების შესახებ (Consultative Committee of the Convention for the Protection of Individuals with Regard to Automatic Processing of Personal Data, 2019,12).

გამჭვირვალობა. გამჭვირვალობის პრინციპი თანახმად, მონაცემთა სუბიექტისათვის ნათელი და გასაგები უნდა იყოს, რომ ხორციელდება მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შეგროვება, გამოყენება, გაცნობა ან სხვაგვარ დამუშავება. გამჭვირვალობის პრინციპი ასევე გულისხმობს აუდიტორიაზე გათვლილი ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას, განსაკუთრებით თუ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს არასრულწლოვნები, მათთვის მარტივი და გასაგები ენით უნდა იქნას მიწოდებული ინფორმაცია თუ რა მიზნით, რა მოცულობით და რა სახის მონაცემები მუშავდება მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი/უფლებამოსილი პირის მიერ.

მონაცემთა დამუშავება მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად. აღნიშნული პრინციპის თანახმად, დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დამუშავებამ, უფლებამოსილი პირების თანხმობის არსებობის შემთხვევაშიც კი, გამოიწვიოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გამტკიცებული ადამიანის უფლების პატივისა და ღირსების ხელყოფა. არსებული პრინციპის დაცვა, განსაკუთრებით, საყურადღებოა როდესაც დღის წესრიგში დგას არასრულწლოვანის

პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი, ვინაიდან მოზარდისათვის პატივისა და ღირსების შელახვას, ბულინგს, დამცირებას, ხშირ შემთხვევაში გამოუსწორებელ შედეგამდე მივყავართ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პიროვნების საზოგადოების ჯანსაღ წევრად ჩამოყალიბებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკა ზემოაღნიშნულ პრინციპებთან მიმართებაში. ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა ე.წ. მესენჯერის მეშვეობით მშობლებს გაუგზავნა ორი ფოტო. ერთ ფოტოსურათზე აღბეჭდილნი იყვნენ მერხებთან მსხდომი ის მოსწავლეები, რომლებიც გაკვეთილზე მომზადებულნი გამოცხადდნენ, ხოლო მეორე ფოტოზე ასახულნი იყვნენ დაფასთან ე.წ. „ჩაცუცეულ“ მდგომარეობაში მყოფი ის მოსწავლეები, რომლებსაც არ ჰქონდათ ნასწავლი გაკვეთილი. საჯარო სკოლის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი განმარტებით, მოსწავლეთა დასჯის ამსახველი გარემოების ფოტოზე აღბეჭდვა და მშობლებისთვის აღნიშნული ფოტოსურათის გაგზავნა განპირობებული იყო სწავლების მიზნებით. პერსონალურ მონაცემთა სამსახურმა დაადგინა, რომ მონაცემების დამუშავებისას სკოლის პედაგოგმა არ დაიცვა მონაცემების სამართლიანი და კანონიერი დამუშავების პრინციპი, ვინაიდან მსგავსი ფორმით ფოტოს გადაღება და ე.წ., „საერთო ჩათში“ განთავსება ხაზს უსვამდა ბავშვების განსხვავებას, რადგან ე.წ. „ჩაცუცეულ“ მდგომარეობაში ყოფნა აღიქმებოდა ღირსების შელახვად, რაც თავის მხრივ, ბავშვების ჩაგვრის, ე.წ. „ბულინგის“, დისკრიმინაციისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლად გახდომის საფრთხეს შეიცავდა (არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა - თეორია და პრაქტიკა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2023, გვ.22-23).

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.“

კონკრეტული მიზანი. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მონაცემთა დამუშავების დაწყებამდე უნდა განსაზღვრონ კონკრეტული მიზანი რის გამოც იღებს გადაწყვეტილებას

არასრულწლოვანთა პერონალური მონაცემების დამუშავებაზე. მიზანი უნდა იყოს ზუსტად და სრულად იდენტიფიცირებადი (Data Protection Working Party, 2013, p.39). აღნიშნული პრინციპის დაცვისათვის აუცილებელია დაწესებულებას მონაცემთა დამუშავების დაწყებამდე, წინასწარ ჰქონდეს წერილობით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის თუ რა სახის მონაცემების დამუშავება სჭირდება და კონკრეტულად რა მიზნისათვის.

მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი. მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ ყველა უფლებამოსილი პირისათვის, განსაკუთრებით არასრულწლოვანისათვის იყოს აღქმადი, განურჩევლად მათი განსხვავებული კულტურული თუ ენობრივი წარმოშობის, გაგების დონისა და სპეციალური საჭიროებებისა (Data Protection Working Party, 2013, pp.17, 39).

ლეგიტიმური მიზანი. არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებისათვის, რისთვისაც აუცილებელია დამუშავება განხორციელდეს,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძვლით მაინც. მიზნის ლეგიტიმურობის დადგენა ასევე დამოკიდებულია კონკრეტულ ფაქტზე და საქმის გარემოებებზე, ამ დროს შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ჩვეულებითი წესები, ქცევისა და ეთიკის კოდექსები, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი და სხვა დეტალები (Data Protection Working Party, 2013, p. 20).

მონაცემთა დამუშავება შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით. პერსონალური მონაცემები, რომლებიც დაწესებულებამ შეაგროვა კონკრეტული მიზნით, არ შეიძლება გამოიყენოს სხვა მიზნისათვის. მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს, ერთ-ერთი კერძო დაწესებულების ე.წ. ფეისბუქ გვერდზე განთავსებული იყო სასწავლო წლის პირველი დღის ფოტოები, მათ შორის სკოლის ეზოში გადაღებული ფოტოები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო პირველკლასელები საჩუქრებით ხელში. არასრულწლოვანის ფოტო-ვიდეო მასალის გამოყენებაზე უფლებამოსილი პირის თანხმობის შემთხვევაშიც კი, დაუშვებელია მონაცემების ამ სახით დამუშავება ჩაითვალოს მიზნობრივად, ვინაიდან სოციალურ ქსელში მსგავსი შინაარსის ფოტოების განთავსება არ მიესადაგება სასწავლო

მიზნების განხორციელებას და არც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას, უფრო მეტიც, მსგავსი შინაარსის ფოტოს განთავსება შეიძლება შეფასდეს ქმედებად, რომელიც ემსახურება საგანმანათლებლო დაწესებულების პოპულარიზაციას და მიზნად ისახავს საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენას.

არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დარღვევად ითვლება ასევე ნებისმიერი ფოტო, რომელიც დაწესებულების მიერ განთავსდება სოციალურ ქსელებში არამიზნობრივად და საჯაროდ გახდება ხელმისაწვდომი ყველასათვის. სოციალურ ქსელში დასაშვებია განთავსდეს მხოლოდ ის ფოტოები, რომლებიც ემსახურება სასწავლო პროცესის მიზნებს, ან ფოტო-ვიდეო მასალა, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნას მოსწავლის მოტივაციის საფუძვლად ან რაიმე განსაკუთრებული დღის ამსახველად. მიზანშეწონილია ამ დროსაც გამოყენებული იქნა მონაცემთა სუბიექტის ისეთი ფოტოები, რომელშიც პირის იდენტიფიცირება შეუძლებელია, მაგალითად ფოტო უკანა ხედით ან შორი კადრით.

მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება.“

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმა გულისხმობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მონაცემები უნდა დაამუშაოს მინიმიზაციის პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს, რომ დამუშავებული მონაცემების მოცულობა უნდა იყოს მიზნის ადეკვატური, შესაბამისი და შემოფარგლული მხოლოდ იმით რაც აუცილებელია. პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამუშავების მიზნის მიღწევა, გონივრულობის ფარგლებში, შეუძლებელია სხვა საშუალებებით (მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, გვ.143).

მინიმიზაცია ასევე დაკავშირებულია იდენტიფიკაციის პრინციპის დაცვასთან. მაგალითად მონაცემთა საბოლოო ნაკრებში, რომელიც შესაძლოა სტატისტიკის სახით გამოქვეყნდეს არ უნდა იქნას მითითებული იდენტიფიცირებადი ან მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, რომელიც დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ხელმისაწვდომი გახდა

მონაცემთა გაერთიანებამდე. სტატისტიკის შედგენის შემდგომ აუცილებელია წაიშალოს პერსონალური მონაცემები ან მოხდეს მისი ანონიმიზაცია. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მუდმივი იდენტიფიკაცია საჭირო, უნდა განხორციელდეს ფსევდონიმიზაცია (EDPB, 2020, §74).

მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის დაცვის კუთხით, კვლავ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს სოციალურ ქსელში განთავსებული არასრულწლოვანთა ფოტო-ვიდეო მასალები. როგორც უკვე აღვნიშნეთ გამონაკლის შემთხვევებში, კონკრეტული მიზნით არსებობისას, შესაძლებელია გამართლებული იყოს სოციალურ ქსელში მოსწავლეების ფოტო-ვიდეო მასალის განთავსება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია განხორციელდეს მონაცემთა მინიმიზაცია, მაგალითად ფოტოზე არ უნდა ჩანდეს სკოლის ემბლემა ან სკოლის ადგილმდებარეობა, მოსწავლის სახელი გვარი, აღნიშნული პრინციპის დარღვევა უგულებელყოფს არასრულწლოვანის კანონიერ ინტერესს და შესაძლოა აღმოჩნდეს საფრთხის შემცველი. მონაცემთა მინიმიზაციისათვის ასევე სასურველია შემცირდეს პირთა წვდომის არეალი და ფოტო-ვიდეო მასალა, რომლებზეც გამოსახულია არასრულწლოვნები ხელმისაწვდომი გახდეს მხოლოდ პირთა განსაზღვრული წრისადმი, ეს ფუნქცია თითქმის ყველა სოციალურ ქსელს გააჩნია.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკა. საჯარო სკოლაში გაკვეთილის მიმდინარეობისას დამრიგებლის მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ გამოთქმულ შეხედულებას ერთ-ერთი მოსწავლის მძაფრი რეაქცია მოჰყვა, ვინაიდან მას ჰყავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და. ინციდენტის მოგვარებაში ჩაერთო არასრულწლოვნის მშობელი და განცხადებით სკოლის დისციპლინურ კომიტეტს მიმართა. გადაწყვეტილების მიღებამდე, დამრიგებელმა საკუთარი სიმართლისა და რეპუტაციის დაცვის მიზნით, ე.წ. Messenger-ის ჯგუფში განათავსა ინფორმაცია, რომლებიც შეიცავდა მოსწავლის მშობლის განცხადების ტექსტიდან ამონარიდებს და მათზე მასწავლებლის კომენტარებს, ასევე, არაერთი პირის საუბრის შინაარსს, არასრულწლოვნებისა და მათთან დაკავშირებული პირების საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მოსწავლეების დამოკიდებულებებს კონკრეტული ფაქტების მიმართ და ა.შ. აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით, სამსახურმა დაადგინა მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის დარღვევა და განმარტა, რომ პედაგოგს შეეძლო პროფესიული რეპუტაციის დაცვა ნაკლები

მოცულობის მონაცემების დამუშავების გზით, კერძოდ, „Messenger“-ის ჯგუფებში მხოლოდ საკუთარი ზოგადი პოზიციის დაფიქსირებით (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2023წ, გვ.33-35).

მონაცემთა ნამდვილობისა და სიზუსტის პრინციპი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.“

მონაცემთა ნამდვილობისა და სიზუსტის პრინციპი გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის შესახებ ობიექტური, ზუსტი ფაქტების დამუშავებას, მაგალითად ისეთი ინფორმაციის არაზუსტი სახით ასახვა, როგორიცაა არასრულწლოვანის სახელი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი მისამართი, ასაკი, სქესი, სტატუსი და სხვა შესაძლებელია გახდეს არასწორი მონაცემთა არამართლზომიერი დამუშავების საფუძველი. ასევე გასათვალისწინებელია, ისიც, რომ მოძველებული პერსონალური მონაცემები შესაძლებელია დროთა განმავლობაში გახდეს არაზუსტი. სწორედ ამიტომ, პასუხისმგებელმა პირებმა პერიოდულად უნდა განაახლონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, მაგალითად, ელექტრონული ფოსტის მისამართები, ტელეფონის ნომრები, საცხოვრებელი მისამართები და სხვა (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, გვ.23).

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მოძველებული პერსონალური მონაცემები შესაძლებელია დროთა განმავლობაში გახდეს არაზუსტი. სწორედ ამიტომ, პასუხისმგებელმა პირებმა პერიოდულად უნდა განაახლონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, მაგალითად, ელექტრონული ფოსტის მისამართები, ტელეფონის ნომრები, საცხოვრებელი მისამართები და სხვა.

მონაცემთა სიზუსტე ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასაკის ვერიფიკაციის, იგივე შემოწმების კონტექსტში, მოზარდს, რომელსაც შეუძლია წვდომა ჰქონდეს შედარებით უფროსი ასაკისათვის განკუთვნილ სერვისებზე, შეიძლება, უნებლიერ

დაეთანხმოს მონაცემთა დამუშავებას, რაც იწვევს არასათანადო პროფილირებას (GDPR, Article 4 (4), Recital 38).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკა. სკოლაში არასრულწლოვანთა ჩარიცხვის მიზნით განცხადების წარდგენისას, მშობლებს განემარტებოდათ, რომ ე.წ. eSchool-ში ინფორმაციის შესატანად, შეეძლოთ შესაბამისი სტატუსის (მაგალითად სოციალურად დაუცველის სტატუსი) დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა. სამსახურმა დადგინდა, რომ აღნიშნული ფაქტის შემდეგ, მშობლებთან აღარ ხდებოდა კომუნიკაცია და მონაცემების განახლება. რაც ქმნის იმის აღზათობას, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც eSchool-ში მონიშნული ჰქონდათ, მაგალითად, სოციალურად დაუცველი პირის ან იძულებით ადგილნაცვალი პირის სტატუსის აღმნიშვნელი ველები, აღარ გააჩნდეთ ეს სტატუსები (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2023წ, გვ.43). შესაბამისად, სამსახურმა დაადგინა მონაცემთა ნამდვილობისა და სიზუსტის პრინციპის დარღვევა.

მონაცემთა შენახვის ვადის შეზღუდვა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად...“. როდესაც მონაცემები ინახება გადაჭარბებული ვადებით, იგი ხდება არასაჭირო და აღარ არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი, შესაბამისად იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკა. სამსახურმა შემოწმების ფარგლებში დაადგინა, რომ eSchool-ში აღირიცხებოდა ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეების კომპიუტერულ მოწყობილობებსა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით პანდემიის დროს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება ემსახურებოდა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის საჭიროების დადგომის შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, თუმცა ვერ იქნა დაზუსტებული, თუ რა მიზნით ხდებოდა მოსწავლის მიერ დისტანციური სწავლების შესაძლებლობასთან დაკავშირებული გამოკითხვის მველი შედეგების შენახვა. შესაბამისად

სკოლამ ვერ დაასაბუთა ძველი მონაცემების შენახვის მიზნობრიობა (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2023წ, გვ.41).

მონაცემთა უსაფრთხოება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.“ აღნიშნული პრინციპის დარღვევა დაადგინა სამსახურმა ერთ-ერთი სკოლის მაგალითზე, როცა შემოწმების დროს გამოირკვა, რომ სკოლას არ გააჩნდა ე.წ. ლოგირების სისტემა, რაც გულისხმობს მონაცემებზე ნებისმიერი სახის წვდომის დაფიქსირებას დროისა და სახელის მითითებით. აღნიშნული პრინციპი ზღუდავს შესაძლებლობას არასრულწლოვანთა მონაცემებზე წვდომა ჰქონდეს არაუფლებამოსილ პირებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებებმა პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით უნდა უზრუნველყოს მონაცემთა ორგანიზაციული, ტექნიკური, ინფორმაციული და ფიზიკური უზრუნველყოფა.

ორგანიზაციული უზრუნველყოფის საშუალებად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს ისეთი მექანიზმები როგორიცაა: უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება; კონფიდენციალობის გარანტიების მიღება თანამშრომელთა მხრიდან; მონაცემთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და სხვა (ICO).

ტექნიკური უზრუნველყოფა გულისხმობს პერსონალურ მონაცემთა დაცვას კომპიუტერებსა და ქსელებში (ICO), კერძოდ, დაწესებულებაში არსებულ ტექნიკურ საშუალებებზე, რომლითაც მუშავდება მონაცემები წვდომა უნდა ჰქონდეს მხოლოდ კონკრეტულ პირს უნიკალური მომხმარებლის სახელითა და პაროლით.

ფიზიკური უსაფრთხოება ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: შენობების დაცვა ისეთი საშუალებებით, როგორიცაა სიგნალიზაცია, ვიდეომეთვალყურეობა; როგორ ხდება შენობაში შესვლა და როგორ კონტროლდებიან ვიზიტორები; როგორ ნადგურდება

ფურცლები და ელექტრონული ნარჩენები; როგორ ინახება ელექტრონული მოწყობილობა, მაგალითად, სერვერები, მობილური ტელეფონები და სხვა (ICO).

ინფორმაციული უსაფრთხოება კი გულისხმობს: ქსელებისა და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებას; სისტემაში შენახული მონაცემების უსაფრთხოებას, მაგალითად, წვდომის კონტროლით; ონლაინ უსაფრთხოება, რაც გულისხმობს გამოყენებული ვებგვერდებისა და სხვა ონლაინ სერვისების/აპლიკაციების უსაფრთხოებას; მოწყობილობის უსაფრთხოება და სხვა (ICO).

დასკვნა

საგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია წინამდებარე ნაშრომში განხილული მონაცემთა დამუშავების პრინციპების განუხრელი დაცვა.

ნაშრომში განხილული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, პირველ რიგში, მიზანშეწონილია არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების მნიშვნელობაზე, დაცვის მექანიზმებსა და საშუალებებზე საზოგადოების სათანადო ინფორმირება. მიუხედავად პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის არაერთი ტრენინგისა და სარეკომენდაციო ხასიათის ბროშურების შემუშავებისა, საზოგადოება სათანადოდ მაიცნ არ არის ინფორმირებული თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მონაცემთა კანონიერად დამუშავებას, შესაბამისად პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით როგორც დაწესებულებების, ასევე არასრულწლოვანთა ახლობლების მხრიდან მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტებს.

საგანმანათლებლო პროცესში წარმოშობილი პრობლემური საკითხების გადაჭრის მიზნებისათვის, დაწესებულებები, სასურველია, ხშირ კომუნიკაციას ამყარებდნენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან, ვინაიდან სამსახურის რეკომენდაციები ობიექტური გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი უპირობო საფუძველია.

არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნებისათვის, ასევე გამართლებულია ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამმუშავებელია ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. კანონმდებლობა განსაზღვრავს დაწესებულებათა

ჩამონათვალს, რომლებისთვისაც სავალდებულოა პერსონალურ მონაცემთ დაცვის ოფიცრის ყოლა, თუმცა აღნიშნული რეგულაციის ქვეშ არ ექცევა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება, მაგალითად, კერძო სკოლები/საბავშვო ბაღები. შესაძლებელია სწორედ ეს იყოს მიზეზი იმისა, რომ კერძო ორგანიზაციებში უფრო მეტად შეიმჩნევა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დარღვევის ფაქტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა უპირობო საფუძველია მოზარდის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისათვის, შესაბამისად, როგორც სახელმწიფომ ასევე, საზოგადოებამ და, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ ბავშვთა საუკეთესო ინტერესების უზრუნველსაყოფად საჭირო მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება და განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- შუდრა, თ. (2023). ციფრულ გარემოში არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა მშობლებისა და შვილების განსხვავებული მოლოდინების პირობებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი №1.
- ხუბუა, გ. (2023). მისასალმებელი წერილი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი, №1.
- Hof, S. (2018). Children and data protection from the perspective of children's rights – Some difficult dilemmas under the General Data Protection Regulation.
- Kuner, Ch., Bygrave L. A., Docksey Ch. (2020). The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press.
- Morgan, A. (2018). The Transparency Challenge: Making children aware of their data protection rights and the risks online, Volume 23, No.1.
- Prashant, M. Articles with Commentary & EU Case Laws.
- Steeves, V., Macenaite M. (2022). Data Protection and children's online privacy, in: Research Handbook on Privacy and Data Protection Law.
- Consultative Committee of the Convention for the Protection of Individuals with Regard to Automatic Processing of Personal Data, (2019). Convention 108, Children's Data Protection in Education Systems: Challenges and Possible Remedies.
- Data Protection Working Party, (2013) Opinion 03/2013 on purpose limitation, Article 29.
- EDPB, (2020). Guidelines 4/2019 on Article 25 Data Protection by Design and by Default, Version 2.0.
- GDPR, General Data Protection Regulation, Article 4 (4).
- ICO, For organisations/UK GDPR guidance and resources/Security/A guide to data security.
- მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო (2018) https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/fra-coe-edps-2018-handbook-data-protection_ka.pdf
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, (2024). რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ <https://tinyurl.com/57be6vez>
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, (2023). არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა - თეორია და პრაქტიკა <https://tinyurl.com/ux4jbm4a>

პერსონალური მონაცემების დაცვა <https://shorturl.at/0pM04>

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი: 14/06/2023)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=33>

რეკომენდაციები არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ
<https://tinyurl.com/3w3asuxn>

Mariam Mamuladze
Ltd Davit Agmashenebeli University of Georgia

Principles of processing personal data of minors in educational institutions

Abstract

The right to lawful processing of personal data of minors needs to be protected as the publicity of private institutions. This paper will discuss children's personal data and principles of processing in the framework of educational institutions, because educational institutions are organizations that process a particularly large amount of personal data and play an important role in the protection of minors' rights.

From March 1, 2024, a new version of the Law of Georgia "On Personal Data Protection" entered into force, which clearly emphasizes the importance of protecting and realizing the right to personal data and privacy of minors, all the more so when, parallel to the technological progress, the dangers of unjustified interference in the protected area are increasing every day. In educational institutions, there are frequent facts of illegal disclosure of minors' data without the consent of an authorized person, disproportionate processing, violation of audio-video monitoring rules and adoption of inappropriate organizational and technical measures.

In this work, problematic issues in educational institutions in terms of processing personal data of minors will be identified, both from a practical and a legal point of view. Based on the study and analysis of the research results, recommendations will be developed that will help prevent violations such as honor and dignity violations, discrimination, bullying or other negative effects that affect the emotional state and development of the child.

Keywords: Minor, educational institution, personal data, data processing, principles.